



საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



N 48
 28/06/2017

48-07-4-201706280939



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 განკარგულება №48
 2017 წლის 27 ივნისი
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის სერვისი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ“ პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების შესაბამისად.

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (2 (ორი) ცალი კომპაქტორიანი ნაგავშიდი მანქანა: პირველი თვითმცლელი ნაგავშიდი - მოცულობით 7 კუბ.მ. 4X4, შასის N WDB 972 36210114959, რომლის საბალანსო ღირებულება 235 896,86 ლარი და მე-2 თვითმცლელი ნაგავშიდი - მოცულობით 13 კუბ.მ. 4X4, შასის N NMB 95050112181316, საბალანსო ღირებულებით 237 099,48 ლარი.) ა(ა)იპ „ლანჩხუთის სერვისი“ - სათვის (ს/კ: 433642677) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო